თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი #40

ქ. თბილისი 2023 წელი, 6 დეკემბერი, 14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ზურაბ აბაშიძე, გივი ჩხარტიშვილი, კონსტანტინე ზარნაძე, საბა ბუაძე, ნინო წულაძე, ნიკოლოზ კახეთელიძე,

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: ოთარ გრიგოლია, ლილე ლიპარტელიანი, მამუკა გუგეშაშვილი, ზაზა თავაძე, ანა გოგოლაძე

სხდომის თავმჯდომარე: რევაზ სოხაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:
დავით ფაჩულია - შპს თბილსერვის ჯგუფის დირექტორი

№	საკითხის დასახელება
1.	შპს თბილსერვის ჯგუფის ანგარიშის მოსმენა

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა დღის წესრიგი.

კომისიის სხდომაზე შპს თბილსერვის ჯგუფის დირექტორმა დავით ფაჩულიამ. მისი თქმით, შპს თბილსერვის ჯგუფში დასაქმებულია 5 269 თანამშრომელი. მათ შორის: დაგვა-დასუფთავების მიმართულებით - 4182 თანამშრომელი. გარე განათების მიმართულებით - 401 თანამშრომელი. სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლუატაციის მიმართულებით - 115 თანამშრომელი. საგზაო მონიშვნის მიმართულებით - 70 თანამშრომელი. ტრანსპორტის მიმართულებით - 107 თანამშრომელი. ადმინისტრაცია - 394 თანამშრომელი.
მიმდინარე წელს დაგვა-დასუფთავების ღონისძიებების ბიუჯეტი შეადგენს 100 000 000 ლარს, რომლის ფარგლებშიც ყოველთვიურად ხორციელდება შემდეგი სამუშაოები: ქუჩების და

მოედნების დაგვა დასუფთავების სამუშაოები - 12 340 951 $მ^2$; შიდა კვარტალური ქუჩებისა და ეზოების დასუფთავების სამუშაოები - 5 508 017 $მ^2$; სკვერების ტერიტორიის დასუფთავება - 3 601 896 $მ^2$; ხევებისა და ფერდობების დასუფთავება - 2 001 200 $მ^2$; მიწისქვეშა გადასასვლელების დასუფთავების სამუშაოები - 12 930 $მ^2$. ქალაქის ქუჩებზე დაიყარა 1 695 ტონა ტექნიკური მარილი და 1 410 $მ^3$ ქვიშა; საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე შეტანილი იქნა 455 629.6 ტონა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენი.

დაგვა-დასუფთავების ღონისძებების გაუმჯობესების მიზნით (კაპიტალური ხარჯები) შეძენილია შემდეგი სახის სპეცტექნიკა და ნაგავშემკრები კონტეინერები: 15 ერთეული კომბინირებული მარილმომყრელი და ქუჩების მომრწყავი სპეცტექნიკა 6 153 256 ლარი, 1 ერთეული საწვავმზიდი სპეცტექნიკა 187 777 ლარი; 5 ცალი ბორბლიანი ექსკავატორ-დამტვირთველი 1 369 820.00 ლარი; 2 ცალი ამწე მანიპულატორიანი ნაგავშემკრები ავტომანქანა 1 081 700.00 ლარი. დაკონტრაქტებულია და უახლოეს პერიოდში იქნება მიღებული 29 ცალი სპეცტექნიკა - 2 456 170.00 ლარი.

იურიდიული და ფიზიკური პირებისგან საწარმოო ნარჩენების გატანის მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით, დაკონტრაქტებულია და უახლოეს პერიოდში იქნება მიღებული 3 ცალი "სპეც ა/მანქანა კომპლექტში თავსებადი კონტეინერით (აბზეცსკიპერი, სკიპლოუდერი) - 594 300.0 ლარი და 3 ცალი 18$მ^3$ ღია ტიპის კონტეინერული ძარა - 107 298.00 ლარი.

261 700.00 ლარად შეძენილია 1 000 ერთეული 240 ლიტრიანი პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერი და 2 000 ერთეული 120 ლიტრიანი პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერი, 1 791 649.35 ლარად შეძენილია და ქალაქის ლოკაციებზე განთავსებულია 920 ცალი 1100 ლიტრიანი ლითონის ნაგავშემკრები კონტეინერი. ასევე დადებულია ხელშეკრულება და 2023 წლის ბოლოსთვის ქალაქის სხვა და სხავ ლოკაციაზე დამატებით განთავსდება 1000 ცალი 1100 ლიტრიანი ლითონის ნაგავშემკრები კონტეინერი და 1000 ცალი 1100 ლიტრიანი პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერი , რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 2 172 000 ლარს.

დაკონტრაქტებულია და 2024 წლის დასაწისში მოწოდებული იქნება გადამტვირტი სადგურისტვის 6 ცალი 35$მ^3$ ღია ტიპის კონტეინერული ძარა - 290 100 ლარი.

რამდენიმე დღის წინ დასრულდა და ექსპლუატაციაში შევიდა დიდი ლილოს მიმდებარედ, ქალაქ თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მე-3 უჯრედის გაფართოების სამშენებლო სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენს 2 214 952 ლარს.

ქ.თბილისში, დაბა კოჯორში, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო/კოდი: 81.01.08.375 მოეწყობა მარილის შესანახი საწყობი. აგრეთვე, მიმდინარეობს ქ.თბილისში, კახეთის გზატკეცილი N67 ს/კ 01.19.22.002/044 მარილის შესანახი საწყობის მშენებლობის დასრულების სამუშაოები, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს 1 274 676 ლარს.

მიმდინარე წელს ქალაქ თბილისში, გარე განათებისა და შენობების არქიტექტურულ-მხატვრული მინათების ქსელის ექსპლუატაციის მიზნით გამოყოფილია 27 995 337.00 ლარი(ელ. ენერგიის ხარჯი 20 000 000 ლარი). ხელშკრულების ფარგლებში 2023 წელს ექსპლუატაციის მომსახურეობა გაეწია გარე განათების 146 224 სანათ წერტილს და შენობების არქიტექტურულ-მხატვრული მინათების 17 971 წერტილს.

გარე განათებისა და შენობების არქიტექტურულ-მხატვრული მინათების ქსელის ექსპლუატაციის ღონისძებების გაუმჯობესების მიზნით (კაპიტალური ხარჯები) შეძენილია შემდეგი სახის სპეცტექნიკა:

7 (შვიდი) ერთეული ამწე-კალათიანი ავტომობილის შესაძენად გადახდილია 1 117 403.62 ლარი;

1 ცალი სატვირთო ა/მანქანა ამწე-მანიპულატორით, რომლის ღირებულება შეადგენს 125 200.00 ლარს.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოსამზადებელი პროცედურები, რომლის დასრულების შედეგად მოხდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ საყრდენ ბოძებზე განთავსებული კონსტრუქციებისა და სადენების იჯარის ტარიფის დადგენა და ადმინისტრირება. რის შედეგადაც სავარაუდო შემოსავალი წლის განმავლობაში გაიზრდება 1 500 000 ლარის ოდენობით.

მიმდინარე წელს სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების მოვლა-პატრონობის ღონისძიებების ბიუჯეტი შეადგენს 3 500 000 ლარს, რომლის ფარგლებშიც, ქალაქ თბილისის მასშტაბით განხორციელებული სანიარვრე/სადრენაჟე ქსელების მოვლა პატრონობის (ექსპლუატაციის) სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 2 977 782.00 ლარი, ხოლო სანიაღვრე/სადრენაჟე ქსელის მოწყობისა და აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 381 900.00 ლარი.

ორთაჭალაში, გიორგი ნიკოლაძის ქუჩაზე, ჩატარდა 1 300 გრძ. მ კოლექტორის გაიწმინდითი სამუშაოები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 25 2000 ლარი.

იუსტიციის სახლის მიმდებარედ, განხორციელდა ამორტიზირებული ქსელების დემონტაჟი და სამკუთხედის მოწყობის მოსამზადებელი სამუშაოები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 72 000 ლარი.

ვარკეთილი 3, მე-3 მკ/რ-ში მოეწყო მულტიფუნქციური კომპლექსის სანიაღვრე სისტემა, რომლის ღირებულებამ შეადგინა 56 000 ლარი.

შარტავას ქუჩა N7-თან და დავით აღმაშენებლის ხეივანიში, სასტ. უშბასთან ჩატარდა სანიაღვრე სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 46 000 ლარი.

ცისკარიშვილის ქუჩაზე, ჩატარდა კორპუსის სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაცია, რომლის ღირებულებამ შეადგინა 17 000 ლარი.

ზაჰესში, მანაგაძის მე-4 ჩიხში, კორპ 23-თან, ჩატარდა კორპუსის სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაცია, რომლის ღირებულებამ შეადგინა 12 000 ლარი.

სოფელ დიღომში, გიორგი ბრწყინვალის ქუჩაზე გაიწმინდა 300 მ ბუნებრივი ღია არხი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 30 000 ლარი.

ბარნოვის ქუჩაზე, ჩატარდა სანიაღვრე ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 24 000 ლარი.

მარჯვენა სანაპიროზე, რესტორან "თაღლაურას" მიმდებარედ, მოეწყო ახალი სანიაღვრე სისტემის 5 კვანძი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 28 000 ლარი.

გლდანში, მიქატაძის ქუჩაზე, შეიცვალა სანიაღვრე სისტემა, რომლის ღირებულებამ შეადგინა 21 000 ლარი.

ბელიაშვილის ქ. 99, რესტორან "წისქვილთან", მოეწყო ახალი სანიაღვრე სისტემა, რომლის ღირებულებამ შეადგინა 16 000 ლარი.

ვეკუას ქ.19-თან, მეტრო ახმეტელის მიმდებარედ, მიწისქვეშა გადასასვლელთან, მოეწყო სანიაღვრე ქსელი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 14 000 ლარი.

შპს „თბილსერვის ჯგუფის“ საგზაო მონიშვნის სამსახურმა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარებისს სააგენტოდან შემოსული დავალებების შესაბამისად 2023 წლის იანვრიდან ნოემბრის თვის ჩათვლით შეასრულა დედაქალაქის მასშტაბით საგზაო მონიშვნების დატანის; წაშლის; გზის ზედაპირის გაშრობისა და მორეცხვის სამუშაოები. კერძოდ : ქალაქ თბილისის მასშტაბით 50 915.09 კვ/მ-ზე დატანილ იქნა საგზაო მონიშვნები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 3 237 581.32 ლარი. მათ შორის:

თეთრი აკრილით დაიხაზა 29 163.77 კვ/მ, რომლის ღირებულებამ შეადგინა 319 986.33ლარი.

ყვითელი აკრილით დაიხაზა 3 654.43 კვ/მ, რომლის ღირებულებამ შეადგინა 401 89.47 ლარი.

თეთრი ცივი პლასტით დაიხაზა 10 865.58 კვ/მ, რომლის ღირებულებამ შეადგინა 1 727 627.22 ლარი.
წითელი ცივი პლასტით დაიხაზა 918.5 კვ/მ, რომლის ღირებულებამ შეადგინა 146 041.5 ლარი.
ყვითელი ცივი პლასტით დაიხაზა 1 528.03 კვ/მ, რომლის ღირებულებამ შეადგინა 242 956.77 ლარი.
თეთრი ცივი პლასტის სპერეით დაიხაზა 380.75 კვ/მ, რომლის ღირებულებამ შეადგინა 60539.25 ლარი.
თეთრი თერმო პლასტთ დაიხაზა 3689.08 კვ/მ, რომლის ღირებულებამ შეადგინა 586563.72 ლარი.
ყვითელი თერმო პლასტთ დაიხაზა 714.95 კვ/მ, რომლის ღირებულებამ შეადგინა 113677.05 ლარი.
წაიშლა 1500.3 კვ/მ, რომლის ღირებულებამ შეადგინა 412 582.5 ლარი.
მორეცხა 2432.5 კვ/მ, რომლის ღირებულებამ შეადგინა 364 94.606 ლარი.
გაშირო 2921.3 კვ/მ, რომლის ღირებულებამ შეადგინა 565 044.5 ლარი.

ქუჩების დახაზვის ღონისძებების გაუმჯობესების მიზნით (კაპიტალური ხარჯები) შეძენილია შემდეგი სახის სპეცტექნიკა:
681 000 ლარად შეძენილ იქნა 2 ერთეული გზის საშრობი ტექნიკა;
133 494.00 ლარად შეძენილ იქნა 1 ცალი საგზაო მონიშვნების წამშლელი მანქანადანადგარი.
დაკონტრაქტებულია და უახლოეს პერიოდში იქნება მიღებული 1 ცალი ცივი პლასტის სახაზი მანქანა- დანადგარი - 1 829 394 ლარი და 3 ცალი სატვირთო ა/მანქანა ძარის უკანა ნაწილში ამწევი პლატფორმით (ლიფტი) - 170 100 ლარად.

ქალაქ თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირისა და ტრანსპორტის ქუჩაზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, შპს თბილსერვის ჯგუფი ახორციელებს მიწისქვეშა ნაგავშემკრები კონტეინერების მოწყობისა და ახალი გარე განათების სისტემის მოწყობის სამუშაოებს, პროექტის ფარგლებში აკაკი წერეთლის გამზირიზე და ტრანსპორტის ქუჩაზე მოეწყობა 270 ერთეული მიწისქვეშა ნაგავშემკრები კონტეინერი, რომლის ღირებულება შეადგენს 13 095 000 ლარს, ასევე მოეწყობა ახალი გარე განათების სისტემა, რომლის ღირებულებაც შეადგენს 3 839 482 ლარს.
დაკონტრაქტებულია და უახლოეს პერიოდში იქნება მიღებული 4 ცალი ამწე მანიპულატორიანი ნაგავშემკრები ავტომანქანა.
ქალაქ თბილისში, ბოჭორმის ქუჩაზე, დამონტაჟებულია 22 ერთეული 3 $მ^3$ მიწისქვეშა ნაგავშემკრები კონტეინერი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 945 120 ლარი.
უნივერსიტეტის ქუჩაზე მოეწყო ახალი გარე განათების სისტემა რომლის ღირებულება შეადგენს 1 161 912.71 ლარს, ასევე უნივერტიტეტის ქუჩაზე განხორციელდა 2 700 კვ.მ გზის მონაკვეთის დახაზვა, რომლის ღირებულებამ შეადგინა 650 000.00 ლარი.

სპეტექნიკის დაზღვევა: დაზღვევა სპეც. ტექნიკის - 74 ერთეული - 564 251.40 ლარი; დაზღვევა მსუბუქი ა.მანქანების - 164 ერთეული - 41 716.00 ლარი; ჯანმრთელობის დაზღვევა შპს „თბილსერვის ჯგუფში“ დასაქმებულთა ტექნიკურ რგოლზე; 4320 ადამიანი - ერთ წლის დაზღვევის ღირებულება 1 320 000 ლარი

კვება შპს „თბილსერვის ჯგუფში“ დასაქმებულთა ტექნიკურ რგოლზე: ულუფების რაოდენობა -

77 455 ერთეული - 838 823.00 ლარი (2023 წელი); ულუფების რაოდენობა - 112 000 ერთეული - 1 533 000 ლარი (2024 წელი)

მეორადი საქონლის რეალიზაცია (გლდანის პოლიგონი); მოცემული დროისთვის ამჟამად გლდანის ინერტული ნარჩენების საყრელზე სეპარირებულია შემდეგი ოდენობის სარეალიზაციო მასალები, რომელთა ღირებულებულება განსაზღვრულია სამსახარულის საექსპერტო ბიუროს საექსპერტო დასკვნით:
ა) 170 ტონა შავი ლითონი (ტონაზე ღირებულება - 650 ლარი) - სულ: 110 500 ლ.
ბ) 141 ტონა შერეული პლასტმასი (ტონაზე ღირებულება-400 ლარი) - სულ: 56 400 ლ.
ამასთან გრძელვადიან ტენდერზე სარეალიზაციოდ გატანილია და გამოვლენილია გამარჯვებული მინის ლეწზე:
გ) 11 ტონა (მინის ლეწი) არსებული და მინიმუმ 100 ტონიანი წლიური პერსპექტივით (ტონაზე ღირებულება 93 ლარი) – სულ 10 200 ლ.
აგრეთვე უახლოს პერიოდში იგეგმება მინისა და პოლიეთილენ ტერაფალატის (PET) ტიპის პლასტმასის ბოთლების შემგროვებელი კონტეინერების განთავსება რესტორნებთან, სასტუმროებთან და სხვა ნარჩენების დიდ წარმომქმნელ ობიექტებთან. მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ობიექტური მოლოდინით, იგი მნიშვნელოვნად გაზრდის მინის სეპარირების წარმადობას და აგრეთვე უზრუნველყოფს საორიენტაციოდ არანაკლებ პოლიეთილენ ტერაფალატის (PET) 50 ტონის შეგროვებას, რომლის ღირებულება ტონაზე სამსახარულის საექსპერტო ბიუროს დასკვნით შეადგენს 700 ლარს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წლიურმა შემოსავალმა სეპარირებული მასალებიდან უნდა მოგვცეს მინიმუმ 200 000 ლარი.

აგრეთვე უახლოს პერიოდში იგეგმება მუყაოს ნარჩენების სეპარირებულად შესაგროვებლად შესაბამისი კონტეინერების განთავსება აგრეთვე რესტორნებთან, სასტუმროებთან, ბაზრობებთან და სხვა მუყაოს ნარჩენების წარმომქმნელ დიდ ობიექტებთან.
მუყაოს გასაყიდი ღირებულება ამჟამად შეადგენს 30-50 თეთრი ერთ კილოგრამზე, რაც შესაბამისად გაზრდის კომპანიის შემოსავალს.

ქონების მართვის დეპარტამენტი გაყიდვების სამსახური: 78 ხანგრძლივი ხელშეკრულება 2023 (ოქტომბრის ჩათვლით) 114 ერთჯერადი ხელშეკრულება 2023 (ნოემბრის ჩათვლით)

2023 წლის ფაქტიური შემოსავალი (ოქტომბრის ჩათვლით) ხანგრძლივი ხელშეკრულებებიდან - 1 246 892.65 ლარი; 2023 წლის ფაქტიური შემოსავალი (ნოემბრის ჩათვლით) ერთჯერადი ხელშეკრულებებიდან - 93 341.85 ლარი; 2023 წლის ფაქტიური ჯამური შემოსავალი - 1 340 234.48 ლარი; 2023 წლის სავარაუდო შემოსავალი - 1 596 234.48 ლარი

ქონების მართვის დეპარტამენტის ქონების მართვის სამსახური 126 მოიჯარე შემოსავალი 2023 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით (პანდემიის დროს შეღავათების გათვალისწინებით) - 305 734.61 ლარი.

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით განხორციელებული/განსახორციელი პროექტები: თბილისის მყარი ნარჩენების პროექტი; სესხის თანხა -18,000,000 ევრო; ხელშეკრულება: ხელი მოეწერა 2018 წლის 27 ნოემბერს.

კომპონენტები: ავტოპარკის განახლება - 2022; გადამტვირთი სადგურის მშენებლობა/რეაბილიტაცია - 2023; ნაგავსაყრელ პოლიგონზე წყლის გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაცია - 2024;_შესყიდვის პროცედურა: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) შესყიდვების წესების შესაბამისად.
გადამტვირთი სადგურის მშენებლობა/რეაბილიტაცია ძირითადი მიზანი: არსებული გადამტვირთი სადგურის და მიმდებარე ტერიტორიის გარემონტება, ნარჩენების გადმოტვირთვის პროცესის დაჩქარება, გადამტვირთი კონტეინერების დატვირთვის ოპტიმიზაცია, გადამტვირთი კონტეინერების ბუფერული მოცულობის უზრუნველყოფა.
მოცულობა : 80 ტონა/სთ სესხის თანხა ჯამში შეადგენს: ≈ 3,300,000 ევრო დღგ-ს გარეშე ტენდერის ჩატარების თარიღი: გამოცხადდა 2023 წ. მე-3 კვარტალი.
სესხის თანხა: 9.6 მილიონი ევრო__ძირითადი მიზანი: მოიცავს ყველა მუნიციპალური მომსახურებისთვის სპეც-ტექნიკის შესყიდვას, მარშუტების მენეჯმენტის პროგრამულ უზრუნველყოფას.
ხელშეკრულება: ხელი მოეწერა 2021 წლის 9 სექტემბერს;_კომპონენტი: 2 (სპეც ტექნიკის შეძენა; მარშრუტების ოპტიმიზაცია) შესყიდვის პროცედურა: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) შესყიდვების წესების შესაბამისად კონსულტანტი: GWCC BBVA 1 კომპონენტი: ≈ 65 ერთეული ტენდერის გამოცხადების თარიღი: 2023 წლის მე-2 კვარტალი გამარჯვებული კომპანია - ჯითი ჯგუფი, ხელშეკრულება გაფორმდა 08.08.2023; სახელშეკრულებო ღირებულება - 9,568,000 ევრო;__2024 წელს აპრილ-მაისში იგეგმება 65 ერთეული სპეც ტექნიკის მოწოდება სრულად

ძირითადი მიზანი: ამ ეტაპზე , ლილოს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე არ არსებობს გამართული სისტემა, აქედან გამომდინარე დაგროვებული ემისია იფრქვევა ატმოსფეროში. გაზშემკრები სისტემის მოწყობით, ნაგავსაყრელზე ატმოსფეროში გაფრქვეული გაზის/ემისიების რაოდენობა შემცირდება, გაზშემკრები სისტემის მოწყობა, უმთავრესად ორიენტირებულია, მწვავე გარემოსდაცვითი საკითხების აღმოსაფხვრელად რაც თავისთავად შეამცირებს ნაგავსაყრელის ოპერირების შედეგად გამოწყვეულ გარემოზე მავნე ზემოქმედებას.
ბენეფიტი: ემისიების შემცირება უტილიაციის გზით , ენერგიად გარდაქმნა მოცულობა: ≈ 580 მლნ. მ3 ამოღებული მოცულობა: ≈ 465 მლნ მ3 სესხის სრული თანხა: ≈ 18,000,000 ევრო დღგ-ს გარეშე მშენებლობის ხანგრძლივობა: 1-1,5 წ.(სავარაუდო) ტენდერის გამოცხადების თარიღი: 2024წ. (სავარაუდო) შენიშვნა: კონცეპტუალური თანხმობა მიღებულია დონორისგან (EBRD) ამ ეტაპზე მიმდინარეობს პროექტის ხელახალი ეკონომიურ-ტექნიკური შეფასება და შემდგომ იმპლემენტაცია კონსლუტანტი - Enviroplan S.A

ძირითადი მიზანი: საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე არ არსებობს მასალების აღდგენის ობიექტი, მასალების აღდგენის ობიექტი იღებს სეპარირებულად შეგროვებულ რეციკლირებად მასალებს და უზრუნველყოფს მათ სეპარაციას, დამუშავებას და შენახვას, ხელახალი წარმოებისა და გადამუშავების პროცესებში ნედლეულად გამოყენების მიზნით. 2022 წელს ლილოს ნაგავსაყრელ პოლიგონზე შესული ნარჩენების რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 420,000 ტონას, რომლის დაახლოებით 30-40% შეადგენს რეციკლირებად ნარჩენს. არ ხდება ნარჩენის სეპარაცია, მასალების ამოღება და რეციკლირება. შესამაბისად, აღნიშნული ნარჩენის რესურსი ნაგავსაყრელზე თავსდება და არ ხდება ეკონომიკური სარგებლის მიღება.
გამტარობა: 250,000 ტონა/წ. მშენებლობის ხანგრძლივობა: 1-1,5 (სავარაუდო) ტენდერის გამოცხადების თარიღი: EBRD -ის მოთხოვნების მიხედვით 2024 წელი (სავარაუდო)

შენიშვნა: შენიშვნა: კონცეპტუალური თანხმობა მიღებულია დონორისგან (EBRD) ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტექნიკურ ეკონომიკური შესწავლა და შემდგომ იგეგმები იმპლემენტაცია, პარალელურად მიმდინარეობს სასესხო ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმება, ბანკს, ფინანსთა სამინისტროს, მერიასა და თბილსერვის ჯგუფს შორის კონსულტანტი - ICP / AV Group

2024 წლის პროექტები თბილისის მყარი ნარჩენების პროექტი; ნაგავსაყრელ პოლიგონზე წყლის გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაცია - 2024 წლის გეგმაშია. ძირითადი მიზანი: გამწმენდი სისტემის დამონტაჟება ლიჩეტის მილების პერიოდული გაწმენდისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს ნაგავსაყრელზე ლიჩეტის შეგროვების სისტემის გრძელვადიან ფუნქციონირებას. გამწმენდი ნაგებობის საკმარისი მოცულობით უზრუნველყოფა ჭარბი ლიჩეტის გასაწმენდად, რათა შემდგომ შესაძლებელი იყოს მისი ჩაშვება მდინარეში; გამწმენდი ნაგებობის მოცულობის გაზრდა ასევე საჭიროა ნაგავსაყრელის სამომავლო გაფართოების მიზნით; არსებული გამწმენდი ნაგებობა განახლდება და გაფართოვდება.

მოცულობა: 150 მ3 / დღეშიმეთოდი: რევერსიული ოსმოსური მეთოდისა და კომბინირებული ბიოლოგიური ფილტრაციის მეთოდის შერწყმა სესხის თანხა ჯამში შეადგენს: ≈ 5,000,000 ევროს დღგ-ს გარეშე ტენდერის ჩატარების თარიღი: იგეგმება 2024 წლის 1-ი კვარტალი

<u>მუნიციპალური სერვისების პროექტი;</u> 2 კომპონენტი - მარშრუტების ოპტიმიზაციის პროგრამა; მიზანი - ტექნიკური ინსტრუმენტებისა და პროგრამული უზრუნველყოფის ნაკრების_შესყიდვა, რომელიც მიზნად ისახავს ნარჩენის შეგროვების მარშრუტისა და__ტრანსპორტირების ოპტიმიზაციას, ავტომატიზირებულ მონიტორინგს, კონტროლს დამართვას__შესყიდვის პროცედურა: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD)_შესყიდვების წესების შესაბამისად;_ბიუჯეტი - 500,000.0 ევრო;_კონსულტანტი: GWCC BBVA;_ტენდერის გამოცხადების თარიღი: 2024 წლის მე-2 კვარტალი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, იგეგმება ახალი ალტერნატიული საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის შერჩევა. ამ ეტაპისთვის მიმდინარეობს სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება, ტექნიკური დავალების შედგენა. ტენდერი ცხადდება თბილისთან ახლოს ახალი საყოფაცხოვრებო პოლიგონისთვის ალტერნატიული ადგილის შერჩევაზე, ყველა საჭირო მოთხოვნის თუ სტანდარტის შესაბამისად.ტენდერის გამოცხადების თარიღი: 2023 წლის დეკემბერი

მომზადდა პროექტი და მიმდინარეობს ქ. თბილისში ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილზე მდებარე, ხის კონსტრუქციის მქონე საფეხმავლო ხიდის სარეკონსტრუქციო სამუშაოები (საკადასტრო.კოდით - 01.03.373), რომლის ღირებულება შეადგენს 416 500 ლარს.

სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, ს/კ 01.00.059, მელაანის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწისქვეშა გადასასვლელს ჩაუტარდება რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 222 222 ლარი. აგრეთვე მიმდინარეობს მელიქიშვილის გამზ. #1-ის (ს/კ 01.15.03.010.012.01.521) ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ არსებულ მიწისქვეშა გადასასვლელის; კახეთის გზატკეცილზე მდებარე, მესამე მასივის (ლუკოილი, მეორე მასივის დ კორპუსთან) მიმდებარედ მიწისქვეშა გადასასვლელის და შპს "თბილსერვის ჯგუფის" მოვლა-

პატრონობაში არსებული სხვა მიწისქვეშა გადასასვლელების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 3 382 427.85 ლარს.

ამჟამად მიმდინარეობს დასკვნის მომზადება ქალაქ თბილისში, იუსტიციის სახლის მიმდებარედ განთავსებული ხიდის მდგრადობის შესახებ. აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ იგეგმება ხიდის რეაბილიტაცია.

მოსაკრებლის სამსახური: შემოსავალი 2023 წლის 11 თვე: მოსახლეობა: 26 442 472.33 ლარი; კომერციული : 33 121 038. 57 ლარი; არქიტექტურა: 12 316 681. 33 ლარი; 2023 წლის 11 თვე: 71 880 192. 23 ლარი; 2022 წელი: 57 047 472. 34 ლარი

2023 წელს შპს „თბილსერვის ჯგუფის" საკუთარი შემოსავლები შეადგენს 5 510 000 ლარს. მათ შორის:იურიდიული და ფიზიკური პირებისგან საწარმოო ნარჩენების გატანის მომსახურეობა (ნარჩენების გატანა) – 1 580 000 ლარი. პოლიგონზე ნარჩენების განადგურება - 255 000 ლარი. სამშენებლო ნარჩენების განთავსება - გატანა-განადგურება - 2 535 000 ლარი. ამოღებულია დებიტორული დავალიანება - 622 000 ლარი. საპროცენტო შემოსავლები - 1 940 000 ლარი.

ქალაქ თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მე-4 უჯრედის მშენებლობა, რომლის ღირებულება შეადგენს 15 105 600.00 ლარს. 4500 ცალი - 1100 ლიტრიანი პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერის; 1400 ცალი - 240 ლიტრიანი პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერი; 1000 ცალი - 120 ლიტრიანი პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერისა და 1400 ცალი - 1100 ლიტრიანი ლითონის ნაგავშემკრები კონტეინერის შეძენა, რომლის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 5 000 000 ლარს. აგრეთვე მიმდინარეობს მერიასთან შეთანმება დამატებით 5 000 000.00 ლარის გამოყოფაზე, რომლის ფარგლებში შეძენილი იქნება 4500 ცალი - 1100 ლიტრიანი პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერი და 1500 ცალი - 1100 ლიტრიანი ლითონის ნაგავშემკრები კონტეინერი.

საჭირო 25 ერთეული ტექნიკის შესყიდვა, რომლის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 15 000 000 ლარს.

ქ. თბილისის შემოვლითი გზის მე-15 კმ-ის მიმდებარედ არსებულ სამშენებლო (ინერტული) ნარჩენების განთავსების ადგილზე (ს/კ 72.13.33.211) არსებული ე.წ. „ნამგალას ხევის" წყალგამტარი ნაგებობის მშენებლობა, რომლის სავარაუდი ღირებულება შეადგენს 10 000 000 ლარს.

ნედლეულისა და მატერიალური მარაგების დაცულობის, ვარგისიანობის შენარჩუნებისა და ტექნოლოგიური პირობების დაცვის მიზნით, სამი საწყობის მშენებლობა, რომლის სავარაუდი ღირებულება შეადგენს 3 000 000 ლარს.

მოქალაქეთა უსაფრთხოდ გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე განთავსებული მიწისქვეშა გადასასვლელების რეაბილიტაცია, რომლის სავარაუდი ღირებულება შეადგენს 5 000 000 ლარს.

კომისიის სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე  რევაზ სოხაძე